ახალი წიგნები

ტედ ლეველენი. პოლიტიკური ანთროპოლოგია: შესავალი. თსუ გამომცემლობა, 2017 -325 გვ.

სულ ახლახანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ტედ ლეველენის ავტორობით დაწერილი სახელმძღვანელოს „პოლიტიკური ანთროპოლოგია: შესავალი“ ქართულენოვანი თარგმანი. წიგნი ქართულ ენაზე ითარგმნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მთარგმნელობითი გრანტის ფარგლებში. წიგნი თარგმნა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა სალომე დუნდუამ, ხოლო სამეცნიერო რედაქტორობა კი ამავე მიმართულების ხემძღვანელს, პროფესორ მალხაზ მაცაბერიძეს ეკუთვნის.

ტედ ლეველის ავტორობით დაწერილი პოლიტიკური ანთროპოლოგიის სახელმძღვანელოში შესწავლილი და გაანალიზებულია სხვადასხვა ძალაუფლებრივი ინსტიტუტის არა მარტო შექმნისა და გავრცელების ისტორიული განვითარება, არამედ თანამედროვე პერიოდში მათი გავლენა და გამოვლენის მაგალითებიც. წიგნი შედგება თერთმეტი თავისგან. თითოეულ მათგანში პოლიტიკური ძალუფლების გამოვლინების სხვადასხვა შემთხვევაა მოყვანილი - დაწყებული პირველყოფილი რაზმებისა და ტომებისგან, დამთავრებული რელიგიური ინსტიტუტებითა და გლობალიზაციის გამოწვევებით. სახელმძღვანელოში გამოყენებულია პოლიტიკურ ანთროპოლოგიაში არსებული მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა. ავტორი მსჯელობის გასამყარებლად, თითოეულ თემასთან დაკავშირებით იშველიებს მეტად საინტერესო წარსულ და თანამედროვე მაგალითებს. ასევე, საინტერესო და თემატურია წიგნში საკმაოდ მრავლად მოყვანილი ფოტო მასალა, ცხრილები და რუკები.

მოცემული წიგნის ქართულენოვანი თარგმანის გამოცემა რამდენიმე მიზეზით არის მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, პოლიტიკური ანთროპოლოგიიის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც უკვე წლებია საკმაოდ პოპულარულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით - საქართველოში მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. შესაბამისად, ამ დარგში სამეცნიერო და სასწავლო ლიერატურის კუთხით, ესაა პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც პოლიტიკური ანთროპოლოგიის შესწავლით დაინტერესებულ სტუდენტებს, ასევე სამეცნიერო წრეებსა და ფართო საზოგადოებასაც. მეორე მხრივ, ტედ ლეველენის „პოლიტიკური ანთროპოლოგია: შესავალი“ ის სახელმძღვანელოა, რომლითაც მსოფლიო არაერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან პოლიტიკურ ანთროპოლოგიას. აღნიშნული ფაქტი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოცმეული წიგნის ქართულენოვანი გამოცემის მნიშვნელობას. დაბოლოს, ცალკე აღნიშვნის ღირსია წიგნის ქართულენოვანი თარგმანისა და გამოცემის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხიც.

თამარ ქარაია